



თბილისის ზღვა და შავი ზღვა ერთმანეთს თუმც ვერ ხვდებიან,— მათი მღვდლარე კამათის მოწმე თვით ღიზის მთებია!

თბილისის ზღვიდან უეცრად როცა კაღმახმა იეღვა, სიტყვა შავი ზღვის სახელით თევზა წარმოსთქვა ხნიერმა:




— სხვა არი,— თქვა მან ღიმილით,— შავი ზღვა მაინც სხვა არი,— მისი უჭკნობი ნაპირი ქვეყნის სიმდიდრის ზღვა არი!

— ზღვა არი!— ამბობს თბილისის ზღვა და პირთამდე ივსება,— პურის ყანების ბიბინიც ზღვასავით გვეხადისება!



— აქ მუდამ გაზაფხულია, ზამთარს გზა გადაუკეტეს! შრიალებს ჩემი ბალნარი, შენ რას ინატრებ უკეთესს?!

— ვამაყობთ ჩაით, ნარინჯით, მაგრამ ნეტავი გენახათ როდესაც გარდაიქმნება სამგორის ველი ვენახად!



— ჩემი ტალღების თამაში არ შეგიძლია არ აქო,— თვალწარმტაცია შავი ზღვის წაღკოტი სააგარაკო!

— თბილისის ზღვასაც უქებენ ნავთა მისადგომ ნაპირებს, მთელი თბილისი გაისად აქ დასვენებას აპირებს!



— სცადე მაშ,— ლეღავს შავი ზღვა,— ტალღები ჩემებრ ამართე და ცის კიდეზე მრისხანე ქარიშხლით გაინავარდე!

— ტალღების ლეღვა-ღინებაც საქმით და შრომით ფასდება,— რა არის მათი ძალ-ლონე თუ უღსადგურებს აცდება!..



თქვა და სამგორის გულ-მკერდზე ეღნათურებიც აისხა... ასე კამათობს მღვდლარე თბილისის ზღვა და შავი ზღვა!

გოგოთა მისტიკა







# სამგორის ჯგუფი

თბილისიდან ხალხის ზღვა მიდის — თბილისის ზღვის სა-  
თავისკენ. სათავიდან კი — თბილისის ზღვა მოდის დედაქა-  
ლაქისკენ!

რამდენადაც ვიცი, ჯერ არავის უნახავს, რომ ზღვა და  
ხალხი ერთმანეთს გზაში შეხვედროდნენ. დღეს კი ასე ხდე-  
ბა და, ჩვენთვის აღსანიშნავი ის არის, რომ ამ შეხვედრაში  
თვითონვე ვმონაწილეობთ.

აი, ეს სამგორის სარწყავი სისტემაა. ჩვენ უკვე ლო-  
ჭინის ხევის ვუახლოვდებით და ხალხის ზღვაში ვინთქებით.

გზას ვერ აუქცევთ და თვალს ვერ გააწვდნენ მგზავ-  
რებს. მოდიან ავტობუსებით და ავტობუსებით, ცხენებით და ქვეი-  
თად, მოდიან სიმღერით, ბასით, ხუმრობით. ყველა სიამო-  
ვნებით მონაწილეობს საერთო ზეიმსა და მხიარულებაში.

— გაიგე? — ხუმრობით მიმართავს ერთი მეორეს, — წუ-  
ხელის ჩვენი რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს თვე-  
ზებთან დიდი უსიამოვნება მოსვლიაო.

— ეგ რის გამო?

— მისულან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს თევზები და  
უთხოვიათ: ორდერები გაგვიფორმე თბილისის ზღვაში ჩასა-  
სახლებლათაო. გაჯავრებულა ეს ჩვენი უფროსი: საიდან გა-  
ვიფორმოთ, როცა არც რეკომენდაცია გაქვთ და არც პრო-  
ტექტორი გყავთო? უარი უთქვამს!

თუმცა გულუბრყვილოა ეს ხუმრობა, მაგრამ მოსაუბ-  
რენი მაინც იცინიან, რადგან ამაში საბინაო ორგანოების  
ზოგი მუშაკის ტიპური ჩვეულების გამათრახებას ხედავენ.

მაგრამ ეს მაინც სხვათაშორისი ეპიზოდია. მთავარი ის  
არის, რომ ეს ზღვა ხალხი — ზღვის გარშემო ლაპარაკობს,  
არა გასართობად, არა უბრალო მხიარულებისათვის, არამედ  
იმ დიდი სიხარულის გამოსახატავად, რომლითაც დღეს ყვე-  
ლას გულია სავსე. აი, დამთავრდა დიადი მშენებლობის მთა-  
ვარი ნაწილი... დღეს თბილისში გაჩნდა ზღვა და ამ გაბმულ  
შოროქნებში იგრის სინედლე შეიქრა. ხვალ — ხრიოკ მიწებზე  
თვალუწვდენელი ბალ-ვენახები და ყანები უნდა აშრილდეს,  
ახალი სოფლები უნდა გაჩნდეს, შუქი აციმციმდეს და ზღვის  
ოდენა დოვლათი დაგროვდეს.

კიდევ ის არის მთავარი, რომ ამ ზღვა ხალხში ძალიან  
ცოტაა ისეთი, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიე-  
ლოს თბილისის ზღვის შექმნაში, რომელსაც თავისი ოფლი  
და ცოდნა, შემოქმედებითი უნარი და ღონე არ დაეხარჯოს  
ამ პოეზიის შესაქმნელად, რაც პოეტებმა სტრიქონებად უნ-  
და დაალაგონ, მხატვრებმა — ტილოზე გადაიტანონ, კომპო-  
ზიტორებმა — ნოტებზე და მთლიან, წარმტაც სიმფონიად აქ-  
ციონ.

ამიტომაცაა, რომ აქ მოხუციც კი პოეტურ სახეებში  
გვისხნის ახალი სამგორის მნიშვნელობას.

— ჰაი დედასა, აზღვევინეს, აზღვევინეს ამ ჩვენ იორს  
თავისი ძველი წანახედი, — სიხარულით გვეუბნება თოხლიაუ-  
რელი მოხუცი, რომელიც იგრის სათავისკენ მიმავალ გზა-  
ტკეცილს ფეხით დასდგომოდა და დაღლილი ჩვენს მანქანა-  
ზე მოვათავსეთ. — ი რო აღიდგებოდა და ჩვენი შავი დღით  
მონაგარ ყანებსა და ვენახებს ფეხქვეშ რო გაიგებდა ხოლმე  
— აზღვევინეს!

— კარგა იცნობ აქაურობას, ბიძია?

— ვიცნობდი, ეხლა კი, ჰაიჰაი, რომ აღარ მეცნობა.

— რატომ?

— აი, ბარე ოცი წელიწადია აქ აღარა ვცხოვრობ,  
ბიჭი ინჯინერი გამამივიდა და ქალაქ წამიყვანა. ეხლა აქა  
მუშაობს უბნის უფროსათა, ჰოდა, გავიგე, სათავის მშენებ-  
ლობა დამთავრდაო, ე, მთელი ქალაქი აქეთ დაიძრა, ვთქვი:  
მოდი წავალ, ერთი ვნახო როგორ ამოსდეს ლაგამი ამ ჩვენ  
იორსა მეთქი. იგრის სადგურამდი მატარებელს გამოვყვი,  
და იქიდან ამ ლამაზმა გზამ გამამიტყუა ფეხითა.

— როგორ მოგწონს აქაურობა?

— მომწონს კი არა, გაცოცხლებული ვარ, გზა ამერი: ე  
სოფლები საიდან გაჩნდა მეთქი ვფიქრობდი, ე მწკრივი სახ-  
ლები, ელექტრონი, წყაროები, ხეხილები? აქ ხო უკაცრიე-  
ლი ადგილები იყო მეთქი წინათა? თურმე ნუ იტყვი, ახალ  
სამგორს — ძველ სამგორში უკვე სიცოცხლე მოუტანია!

— ეგ რა არის, შენ ცოტა ხნის მერე ნახე!

— ვიცი, ვიცი, მაგასაც მოვესწრები.

— აი, დღეს სათავის ნაგებობაზე ფარები რომ აიწვეა.

— ვიცი, ვიცი, შხუილითა და სიმღერით რო გამოი-  
ვლის ი ჩვენი იორი, ჯერ აი, იმ „მალაკნებს“ დაფარავს.

— ეგ რა „მალაკნებია“?

— ჰო, არ გეხსომებათ, ახალგაზრდები ხართ: წინათა,  
აგერ ლოჭინის გადასასვლელთან რო ნაგზეგია, მანდ დილი-  
ენები დადიოდა, მალაკნის დილიენები. ჰოდა, მანდ იმ მა-  
ლაკნებს სადგური ჰქონდათ. ეგ იყო და ეგა! ამ გადაბრუ-  
კულ მინდორზე მარტო ის ქოხი და თავლა იყო წამოჭუნტე-  
ბული. ჩამოივლიდა ჟღარუნებიანი დილიენი, აქ ცხენებს  
გამოიცივლიდა, ცოტა ხანს ადამიანების ხმაური დატრიალ-  
დებოდა და ისევე კორიანტელი გაჰყვებოდა ქალაქისკენ  
მიმავალ დილიენსა, მაგრამ რას ვამბობდი?

— წყალი მალაკნების სადგურს დაფარავსო.

— ჰო, მალაკნების სადგურიდან ცოტას გაივლის და  
ახლა ციციკარიაშვილის სამიკიტნოს წალეკავს.

— ეგ რაღა სამიკიტნოა?

— არც ეგ იცით განა! დამავიწყდა მეთქვა: ეგ ერთი  
სამიკიტნო იყო აზამბურის ველზედა. ციციკარიაშვილი იმ  
მიკიტნის გვარია. იმ სამიკიტნოსთან დილიენებს გააჩერებდნენ  
და დახლთან დაილოცებოდნენ: „ისე გადაიბუგოს მტრის ოჯა-  
ხი, როგორც ეს სამგორის მინდვრებია გადაბუგულიო“, თანაც  
ერთი მოშლილი არღანი იდგა დახლზე და ჭყიბინებდა!..


მოხუცმა სიამოვნებით გააყოლა თვალი სამგორის გასა-  
დევრებს.

დიახ, მწირი ხრიოკებით ერთი სამიკიტნოთი და არღ-  
ნის ჭყიბინით შეუძლიათ გაიხსენონ ჩვენი წინათობის ჭაღა-  
როსნებმა ის ადგილები, სადაც სამგორის არხის ჩანჩქერებმა  
თვალუწვდენელი ბალ-ვენახებისა და ყანების შრიალის სიმ-  
ფონია უნდა გაფინონ.

— ჰოდა, ამ მიწის ძარღვებს დედის რძესავით რო  
დაუვლის, ზედ ფარჩა-ხალიჩებს რო გაგვიფენს და აქაურო-  
ბას ბარაქით რო აავსებს ი ჩვენი იორი...

მაგრამ ჩვენი მოხუცი თანამგზავრის პოეტური იტყვე-  
ბი მუსიკის გუგუნმა დაფარა. სათავიდან იორი დაიჭრა და  
თბილისის ზღვისაკენ გამოეშურა.





ნ.ს. დონისა




ხანამ ესენი ზღვის ფსკერზე იხსდნენ და ოცნებობდნენ, თუ როგორ შეხვედროდნენ თბილისის ზღვას...



ზღვა უკვე თავზე წამოადგათ მღელვარე ტალღებით...



# შევი ნაღუში



მატარებლის გასვლას ერთი წუთიღა უკლდა.

— აბა, ულაპარაკოდ, ულაპარაკოდ, ადვოლები აღარ არის!— ყვიროდა გამყოლი, — თავზე თქვენ-კი არა, უფროსს არ დავიჯენ!

— ბილეთები ამ ვაგონში გვაქვს, სხვაგან სად წავიდეთ?

— არა და არა! თავი დამანებეთ!— უფრო იმაღლებდა ხმას გამყოლი. კარებში ჩამდგარიყო, ხელები მხარგასწვრივ გაეშალა და ამბარებდა ხალხს.

— რა ხელგაშლილი მასპინძელია!.. წამოდი, თუ ძმა ხარ, მაგ კაცთან ჩხუბის თავი არა მაქვს!— ვუთხარი ჩემს თანამგზავს გივისს.

— მოიცა! — ხელით შემაჩერა მან, — იქნებ მოვხარშო, მცხეთაში კი ბილეთს აუცილებლად ავიღებ.

— როგორ, ბილეთიც არა გვაქვს? ბიჭო, უბილეთოს კი არა, ბილეთიანს არ უშვებს ვაგონში, შენ ავად ხომ არა ხარ? წამოდი თუ კაცი ხარ, საცაა მატარებელიც გავა. — ვუთხარი მას და ის-ის იყო უნდა გავქცეულიყავი, რომ „ერთი წამით მაკალეო“ მითხრა და გამყოლს მიუახლოვდა.

— ბიძაჩემო...

— ბიძაშენი მეორე ვაგონშია. ვინ გინდა მოთაფლო შენი ლამაზი სიტყვებით? არა, არა, ვაგონს ვერ გადაეტვირთავ, მგზავრებს ვერ შევანუხებ თქვენი გულისთვის!

— კაცო რა მექნა, ვერ მოვასწარი ბილეთის აღება!

— ბილეთი არ გვაქვს? — უეცრად მოღბა გამყოლი, — ამოდით ჩემთან, მეტი რა გზაა, მოვასვენებთ. — მხეცები კი არა ვართ, ვიცით გაჭირვებაში კაცის ანგარიშის გაწევა.

— თქვენი სახელი, ბიძაჩემო? — შეეკითხა მას გივი.

— ლენტორი, ჩემო ბატონო.

— ჰოდა, ბიძია ლენტორ, ჩემს მეგობარს ბილეთი აქვს და მცხეთაში მეც ავიღებ — უთხრა გივიმ და სახეში შეხედა. მას შუბლი შეეჭმუნა, სახე დაუბატარავდა.

— მაინც შემომეპარე, ა?.. — მითხრა მე და გივის მიუბრუნდა:

— ბილეთი რა საჭიროა შე კაცო, მცხეთაში მატარებელი დიდხანს კი არ ჩერდება, შეიძლება კიდეც დარჩე. შენთან, ვიცი, არ დამეკარგება, იქ გადამიხადე.

ამასობაში მატარებელიც დაიძრა.

კუბეში სხვაც ბევრი დაგვხვდა უბილეთო. ჩემი დაკვირვებით, ლენტორი განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდა მათ და პირობას ართმევდა, რომ „პატივისცემას“ იმ სადგურზე გადაუხდიდნენ, სადაც ისინი ჩასვლას აპირებდნენ. ჩვენს შორისაც შეიძველა დამოკიდებულება: რაკი გაიგო, რომ მე ბილეთიანი შევეპარე, აქამდე ტკბილმოუბარი ლენტორი ჩემს მიმართ სიტყვაძუნწი გახდა, ჩემს ნაცნობს კი პირდაპირ ფიანდაზად დაეფინა.

— აბა, შენ ახლა მოსვენება გჭირდება! — მიმართა მან გივისს და ვილაც მიძინარეს ხელი წაჭკრა, — ადექი, ამხანაგო, მუქში ხომ არ გქონდა ძილი ასე უცებ რომ ჩავითვლემია? აგერ, პატივისცემი კაცია, ზესტაფონამდე დაუთმე საწოლი, მერე კი წამოწეკი და იძინე.

ახლადგამოღვიძებულმა თვალები მოიფშვინტა და სკამზე წამოჯდა, ხოლო გივი არხეინად წამოწევა.

— მამ ასე, შენ აქ იქნები, — უთხრა ლენტორმა გივისს და ლოყაზე ხელი ეშმაკურად მოუცაცუნა.

ვაგონში მთელ ღამეს ბნელოდა. ალბათ, ამიტომაც განსაკუთრებით გამეხარდა, როცა მატარებელმა ლიხის კვირაბი

„გახვრიტა“ და სარკმელში სინათლემ შემოიხედა. გივიმ გაიღვიძა.

შეხედე და გამეცინა, — მის სახეზე თითის ანაბეჭდი ღვინახე, ლოყა შავად ჰქონდა მოსვრილი.

— წადი, გივი, პირი დაიბანე, მთლად დასვრილხარ, ბიჭო! — ვუთხარი მეგობარს და პირის დასაბანად მეც გავყვივ, შემდეგ ჩემოდნებიდან ამოვიღეთ პური, ყველი, მოხარშული ქათამი და ლენტორის კუბეს მივადექით.

— ბატონო ლენტორ, მოვატყუოთ კუჭი, თორემ დაეწყდით შიმშილით. — მივმართეთ სკამზე ჩამოთვლემილ, როგორც ეტყობა, ღამით ნალოთებ, ეშმაკი გამომეტყველების კაცს და ჩვენი საგზალი მაგიდაზე დავალაგეთ.

— აჰ, აჰ, კუჭს ვერ მოვატყუებ, და სხვას, ვისაც გინდა. ვილაცასთან მაინც უნდა იყო კაცი მართალი.

— ჩაიცინა ლენტორმა და როგორც შევატყუეთ, ვერც კი გვიცნო ვინ ვიყავით. საუზმის შემდეგ, ჯიბიდან სათუთუნე ამოვიღე, რომელშიც ბილეთი მქონდა შენახული, გავხსენი და განგებ ხმამაღლა წავიკითხე: „თბილისი-რიონი“.

— აბა, აწი ქე უნდა მოემზადოთ ჩასასვლელად, — გავგაფრთხილა მან, — შენანება თქვენი გაშვება, გეტყობათ, კარგი ბიჭები ხართ. სწავლობთ?

— სტუდენტები ვახლავართ, ბატონო.

— არა, თქვენ არ გეგონოთ თქვენზე ნაკლებად ვიცოდე ფილოსოფია და გეოგრაფია, — მარა, სანამ ჩახვიდოდეთ, ჩემს ანგარიშზე თითო ლიტრა ღვინოს გავეთამაშოთ! — გვითხრა ლენტორმა.

— აჰ, არა, ბიძია, ფული რაზე დაგახარჯვინოთ?

— არაფერია, თქვენი საყოფი ფული ყოველთვის მაქვს! აგერ ბოლო კუბეში რომ ხალხი ზის, იმათგან თვითეული კაცი ათთუშინანია.

— როგორ?!

— აბა, უბილეთოდ და უფულოდ საწყალი ბეზიაჩემი არ წამომიყვანია არასოდეს...

— კი მაგრამ როგორ ცნობთ ამდენ უბილეთობებს, წუხელ ხომ სინათლე არ გქონდათ ვაგონში?

— ლენტორმა გულიანად ჩაიხითხითა და საიდუმლო გავგანდო.

— მიდლობა ღმერთს, ამ ჩემ ფარანს ქვარტლი ბლომდა აქვს. ყველა უბილეთო მგზავრს ღამით დავხედავ, ლოყაზე გაქვარტლულ თითს დავადებ. დილით კი ჩემს ნიშნებს დაინახავ და ვცნობ. — დაასრულა მან და ეშმაკურად მოხუკა თვალები. ჩვენ კი ამ ამბავმა თვალები აგვიხილა. კუბეში დაბრუნებისას ყველა უბილეთოს გაუფხიარეთ ეს საიდუმლო, რის შემდეგ ათი წუთიც არ გასულა, რომ ყველა მათგანის სახეზე გაქრა ლენტორის „შავი ხალხები“.

მატარებელი ზესტაფონს მიადგა. გივის თავაზიანად გამოეთხოვა ლენტორი, რადგან მის სახეზე თავისი ნიშანი ვეღარ შენიშნა. ცოტა ხნის შემდეგ კი იგი დაფაცურდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ვერ მოისვენა, ერთი-ორჯერ სკამების ქვეშაც შეიხედა.

— სად ვაჭკრა, ეს ხალხი? — გივივით დარბოდა იგი და გამწარებული კითხულობდა. — აქ ერთი ახალგაზრდა კაცი იწვა, ხომ არსად გინახავთ? ან დანარჩენები სად არიან? ფოკუსია თუ რა არის, კაცო? — დაწვრილებდა იგი მთელს ვაგონში.



— მამიკო, მამი, რა არის სამგორი? — მეკითხება ჩემი პატარა ბიჭუნა და თვალბში შემომყურებს.

აივანზე, ეზოში, ქუჩაში, ყველგან სამგორის შესახებ ლაპარაკობენ. ისეთი მზადებაა, ახალი წელი გეგონებათ, ყველა ცდილობს ამ სახალხო ზეიმში მონაწილეობის მიღებას, ყველას „სამგორი“ აკერია პირზე, მე და ჩემი მეუღლეც სამგორის გახსნაზე წასვლის ფაცი-ფუცში ვართ და რა გასაკვირია, რომ ჩემი პირმშოც ჩაებას საერთო ფერხულში:

— მამიკო, ჩემო მამიკო, მითხარი რა, რა არის სამგორი?..

— ველია, შვილო, სამგორის ველი... —

— ველი... ჰმ... — იღიმება ჩემი მეუღლე, — მთელი ქვეყანა ამდენ ხანს იმიტომ იბრძოდა, რომ ისევ ველი ერქვას?

— კარგი, რა, მამიკო, მითხარი რა არის სამგორი?..

— არხია, შვილო, დიდი არხი. ამ არხში მდინარე იორი გამოვიყვანეთ და ვეებერთელა სამგორის ველი უნდა მორწყას...

— შესანიშნავი პედაგოგი იქნებოდი, — დამცინის მეუღლე, — არხია და ველი უნდა მორწყას!..

ბავშვი კი არ ცხრება:

— მერე, მამილო, მერე?

— სულ ეგ არის? — დედა არ აცდის შვილს, — მეტი არაფერი?

— შენც თუ ლექციის წაკითხვა გჭირდება ამის შესახებ, მოგახსენებ: „თბილისის ზღვა“ გვექნება, ნავებით ვიცურავებთ და სუფთა ჰაერს გადავყლაპავთ...

— ერთიბეწვა ფანტაზია არა გაქვს, შე საცოდავო... ჰაერს გადავყლაპავთ!..

ბავშვი კი საზღვარს გადადის:

— მამიკო, მეც მინდა ფანტაზია, ფანტაზია მიყიდე-ე!

— ქალბატონო, — ვუსაყვედურებ მეუღლეს, — ა, ესეც შენი ფანტაზია...

— დედიკო, შენა გაქვს ფანტაზია? მომეცი-ი-ი... — უკვე ტირილით იმუქრება ბავშვი.

მაგრამ ბავშვისთვის ვიღას სცალიან, მეუღლის პაექრობიდან თავის დაღწევის თადარიგზე ვფიქრობ.

— ტყე? ტყეზე აღარაფერს იტყვი? — განაგრძობს ჩემი ცოლი მომღიმარი კილოთი დაკითხვას.

— მე რაღა უნდა ვთქვა, მთელი ქვეყანა ლაპარაკობს, კი არ ლაპარაკობს, მღერის მაგ ტყის შესახებ!

— მერე? ბავშვმა სიმღერები მოისმინოს და ისე გაიგოს რა არის სამგორი? — არ ცხრება მეუღლე და ბავშვს მიმართავს, — დედიკო, დედა, გახსოვს მარგო დეიდასთან რომ ვიყავით? აი, იქ რომ დიდი წყალი იყო, ზღვა, აი, ისეთი ზღვა იქნება სამგორში...

— დიდი წყალი!.. — მეცინება მე.

— წალვერი გახსოვს, შვილიკო? იქ რომ დიდი ხეები იდგა, სულ დიდი, ტოტოჩინა, უუუ, აქედან ცამდე, — და დედიკო ხელს ჭერისკენ იშვერს, — აი, ისეთი ხეების ტყე იქნება... ძია გოლას სახლში რომ ვცხოვრობდით, ისეთი სახლები...

— მერე, დედიკო?

— მერე, შვილო, დედა მაროსთან რომ ვიყავით, გახსოვს? იქ რომ პურის ყანები იყო, ისეთი თვალუწვდენელი ყანები იქნება სამგორში... იქ რომ ბალი ვნახეთ, ისეთ ბალებს გააშენებენ...

— ბალი, დედიკო? — კითხულობს ბავშვი და იმუქრება.

— ჰო, შვილო, ბალი, სადაც უთვალავი ატამი, მსხალი და ვაშლი იქნება...

— დედიკო, ვაშლი მინდა-ა-ა, ვაშლი, — მოიტაცა სიტყვა და უკვე ჟინიანად გაიძახის ჩემი ბიჭი.

— დედიკო, მართვი შვილს ვაშლი... — ნიშნს ვუგებ მეუღლეს, მაგრამ ბიჭიკოთ დვალის უბეზე მომდგარ ცრემლს სწრაფად შემოღებული კარი აჩერებს. ჩემი მეგობარი შინ შემოუღვლეღლად შემოგვძახის:

— აბა, ჩქარა! სამგორი გვიცდის, სამგორი... მის სიტყვებს აგუგუნებული ავტომანქანის საყვირიც ადასტურებს.

მე ბავშვს დავტაცებ ხელს, მანქანისკენ მივეშურები და ცნობისმოყვარე პატარა ბიჭის გაფართოებული თვალბი ღიმილით მოელიან სამგორის ნახვას, იმ დიდი ოცნების განხორციელების და დიდი შრომის სურათის ნახვას, რომელიც ჩვენ (მე და ჩემ ცოლს) სიტყვითაც კი ვერ გამოგვითქვამს.

შინა

## საბჭოთა აგობის მოქმედების რადიუსი



— ჩვენი, საბჭოთა მეცნიერები ატომური ბომბის გამოცდას რომ აწარმოებენ, ნეტავი რას უღრის იმ საცდელი ბომბის მოქმედების რადიუსი?

— ეტყოფა სწვდება ძლიერ შორ მანძილს... ისილგ სურათი მეშვიდე გვერდზე!..



# ამ ჩვენს ჯანსაღ საჯაროებში

მოდი, ვიფიქროთ!

მეტი ზარიანი აგება

— მთვარე შეიცვალა, ალბათ, სივრთილე დაიწყება, ხომ. ნემსაძვე?

— ეტყობა, გრილი ამინდი დადგება აცივდება კიდეც. რატომ კითხულობ?

— რატომ არ უნდა ვიკითხო? — ებალღებს თბილი ტანისამოსი დასჭირდებათ, შინ შეშავ უნდა მოვიტანოთ, რომ ზამთარს მომზადებული დახვდეს ოჯახი.

— მარტო ოჯახი?

— მაშ კიდეც ვინა, კაცო?

— როგორ, კოლმეურნეობა დაგვიწყდა!

— რად დამავიწყდება? მე ხომ თავმჯდომარე ვარ და შრომადღებში მესწრება.

— ჰოდა, ჯერ ამაზე გემართებს ფიქრი.

— მაგას რა ფიქრი უნდა, კაცო!

— ხომ არ ხუმრობ, ამხანაგო ვანო?

აი, ხენა-თესვა კარს გვადგია და ჩვენ კი ჯერ არაფერი გაგვიკეთებია.

— ჰო-ო, ბარაქალა ნემსაძვე, კარგი გამახსენე, გუთნები წესრიგში არ მოვიყვანია განა!

— არავითარი ინვენტარი მომზადებული არა გვაქვს.

— ჰო-ო, ეგ ცუდია, მოდი ვიფიქროთ მაგაზედა!

— თესლიც მოსამზადებელია.

— მაგაზედაც ვიფიქროთ, ჰა?

— ნიადაგიც მოუმზადებელი გვაქვს!

— ერიჰაა, მართლა რამდენი საფიქრებელი გვაქონია! მოდი, ვიფიქროთ მაგაზედაცა!..

ამ დიალოგს ამ დღეებში ყური მოკარი ადგილის რაიონის სოფელ სამხრეში, მოლოტოვის სახელობის კოლმეურ-



ნეობის თავმჯდომარის ვ. ქათამაძისა და პარტორგანიზაციის მდივნის ნემსაძის შორის.

როგორც ხედავთ, ამ „ოპერატიულ“ მსჯელობას „ოპერატიული ფიქრი“ უნდა მოჰყოლოდა. ჩვენ ვუსურვებდით ამ დიალოგის ავტორებს, რომ ფიქრი მალე დაემთავრებინოთ და საქმეს შესდგომოდნენ, თორემ ზამთარი ცხრამთას იქით კი არ არის.

თ. სახსარაძე

კასპში ბავშვთა ექიმი გყავს, ზარიდა მისი გვარი, სახელად კი ლელი ჰქვია, ქალი არის ხმანარნარი.

ვთქვათ, რომ ბავშვი წაიყვანეთ ტბილ ბებიკოს სანახავად, და რალაცა მიზნებით იგი უცებ გახდა ავად.

მიაკითხავთ პედიატრ ქალს, ის კი ცივად მოგახსენებთ:

— ეგ ბავშვი ჩვენ არ გვეკუთვნის, არ ვმკურნალობთ თბილისელებს!

ამ პასუხით მოგიშორებს, ჩაფიქრდები კაცი დიღხანს: სიცხიან ბავშვს თბილისისკენ რად ისტუმრებს? — აი კითხვა.



ზარიდე კი არ დაგიდევს მოსალოდნელ გართულებას, რა უფლებით არ სურს ლელის თვისი ვალის ასრულება?

გაზრატ მაჯანაუზილი

რა არის სილოსი?

ხომ არ შეიძლება ისეთი კაცი წარმოვიდგინოთ, რომ მან თავისი უშუალო საქმე არ იცოდეს?

თურმე ასეთი ადამიანები მოიპოვებიან... თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლივის კოლმეურნეობაში: ამ კოლმეურნეობის გამგეობას რაიონიდან მოუვიდა საქონლის საკვების დასილოსების გეგმა. თავმჯდომარე საგონებელს მიეცა:

— რა არის სილოსი? ასეთი რამ კი არ დაგვითვისია და გეგმა საიდან შევასრულო?

შინაურობაში რომ ვერაფერი გაიგო, სასადილოში გაიქცა. იქ სადღეგრძელოების თქმის დროს გამოარკვია, რომ სიტყვა „დასილოსება“ საქმის გადადებას, ყურსუკან მიგდებას, დამკავებას ნიშნავს.

— აი, მაგალითად, ეგ გეგმა რომ ჩაკეტო და დაავიანო, მაგას დასილოსება ეწოდებაო უთხრეს... ადგა ამლივის კოლმეურნეობის თავ-



მჯდომარე და სილოსის დამზადების გეგმა მაუღქვეშ ამოღო, დაასილოსა. ახლა ხომ გასაგებია, თუ რატომ აქამდე არ დამზადა ამლივის კოლმეურნეობამ ნამდვილი სილოსი!

ბ. კენჭაძე

ვინლა უკმაყოფილო?

აგარაში კარგ შექარს ამზადებენ, ხოლო აქაურ სასადილოს კი ცუდი კერძების მომზადებაც ვერ მოუხერხებია.

სასადილოს მოზრდილი შტატი ჰყავს. ყველა მომუშავე თავისებურ ეკონომიას ეწევა და კმაყოფილი თავისი ხელმძღვანელისა.

მაგალითად, მიმტანი კმაყოფილია მზარეულისა იმიტომ, რომ ის კერძებს არ ამზადებს და მისატანი არაფერი აქვს, მზარეული კმაყოფილია გამგისა, რომელსაც პროდუქტები არ მოაქვს და გასაკეთებელი არაფერია. გამგე კმაყოფილია კოოპგამგეობისა, რომელიც მას



არც პასუხს სთხოვს, არც ხსნის და არც ნარდის თამაშში უშლის ხელს. გამგეობაც, ეტყობა, თავისთავის კმაყოფილია.

ვინლა დარჩა უკმაყოფილო? მომხმარებელი?

ეს სრულებითაც არ აწუხებთ არც აგარის სოფლის კოოპგამგეობას და, მით უმეტეს, არც სასადილოს უსაქმურ მესვეურებს.

აგარაძე





იხილე სურათი მეხუთე გვერდზე.

### სიომონ კანანელის ეკლესია

ახალ ათონიდან ჩვენი ჩიტკორესპონდენტი გვატყობინებს, რომ აქ გავლით მან ინახულა სიომონ კანანელის ეკლესია — ძველი მეათე საუკუნისა... (იხ. სურათი №1). ძველი ქართული სურათ-მოდერების ამ ნიმუშს დაფაცამშვენიერებს ასეთი წარწერით: „ეს ისტორიული ძეგლი სსსრ განათლების სახ. კომისარიატის მიერ აღებულია აღრიცხვაზე და უნდა დაცული იქნეს ხელუხლებლად. ამ შენობისათვის რაიმე ზიანის მიმუხეხეული პასუხისმგებელია კანონის წინაშე“.

მაგრამ თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, თუ რა დიდი იქნებოდა განცვიფრება ჩიტკორესპონდენტისა, როცა ქრისტიანთა ეკლესიაში მან ცეცხლის თაყვანისმცემელთა მთელი საამქრო აღმოაჩინა (იხ. სურათი № 2). თურმე ნუ იტყვიო და ახალ ათონელებს ეკლესიის შენობა სამკედლოდ გამოუყენებიათ...



რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 1/XI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2613. გაზოც. № 19. ტირ. 15.000. უგ05251





57-220  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ძველი და ახალი ეგვიპტე ერთმად ეუბნება  
ბრიტანეთის ლომს და მის მხედრებს:  
— დასტოვეთ ჩვენი მხარე!



ნეანგის უენიშვანა: სურათი უკვე დაბატული იყო, როცა ლომიდან ბატონი ვტლი გადმოაბრძანეს ინგლისელებმა და მის ნაცვლად ჩერჩილი დასვეს. ჩვენ დიდ არსებით განსხვავებას არ ვხედავთ ამ შვეცვლით და ვტოვებთ ძველ სურათს, რადგან ეგვიპტეშიც ამით სურათი არ იცვლება.